

## შპს „უნიბოქს“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ფინანსური ანგარიშგება**

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... 3

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

1. კორპორატიული ინფორმაცია ..... 4

2. მომზადების საფუძველი ..... 4

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 4

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... 8

5. ამონაგები რეალიზაციიდან ..... 8

6. რეალიზაციის თვითღირებულება ..... 9

7. კომერციული ხარჯები ..... 9

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 9

9. ძირითადი საშუალებები ..... 10

10. მარაგები ..... 11

11. ფული და ფულის ექვივალენტები ..... 11

12. კაპიტალი ..... 11

შპს "უნიბოქს"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია კრძეფლ ღარშა. აფ სხვაგარდა არ არის მოითთებულა

|                                       |          | 2022              | 2021              |
|---------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                       | შენიშვნა | (არააუდიტირებული) | (არააუდიტირებული) |
| ამონაგები რეალიზაციიდან               | 5        | 3,062,134         | 2,778,569         |
| რეალიზებული პროდუქციის                |          |                   |                   |
| თვითღირებულება                        | 6        | (2,152,038)       | (1,951,555)       |
| <b>საერთო მოგება/(ზარალი)</b>         |          | <b>910,096</b>    | <b>827,014</b>    |
| კომერციული ხარჯები                    | 7        | (19,174)          | (5,453)           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | 8        | (430,436)         | (349,388)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები               |          | (939)             | -                 |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები           |          | 332               | 9,452             |
| <b>საოპერაციო მოგება/(ზარალი)</b>     |          | <b>459,879</b>    | <b>481,625</b>    |
| ფინანსური ხარჯი                       |          | -                 | (7,726)           |
| საგადასახადო მოგება/(ზარალი)          |          | (939)             | -                 |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე</b>     |          | <b>458,939</b>    | <b>473,899</b>    |
| მოგების გადასახადი                    |          | (75,675)          | (61,018)          |
| <b>წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)</b> |          | <b>383,265</b>    | <b>412,881</b>    |

ფინანსური ანგარიშგება დაბეგრებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 18 ოქტომბერს.

  
 ნინო თითიშვილი  
 დირექტორი

4/1 კერძო შპს არსებული შემოსავლი წარმოდგენს ფინანსური ანგარიშგების განყოფილე მართლს

შპს “უნიბოქს”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                         | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2022<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2021<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| აქტივები                                |          |                                        |                                        |
| გრძელვადიანი აქტივები                   |          |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებები                    | 9        | 88,423                                 | 109,616                                |
| არამატერიალური აქტივები                 |          | -                                      | -                                      |
| სულ გრძელვადიანი აქტივები               |          | 88,423                                 | 109,616                                |
|                                         |          |                                        |                                        |
| მიმდინარე აქტივები                      |          |                                        |                                        |
| მარაგები                                | 10       | 317,244                                | 402,051                                |
| გადახდილი ავანსები                      |          | -                                      | 2,558                                  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              |          | 303,980                                | 312,622                                |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 11       | 110,378                                | 144,301                                |
| სულ მიმდინარე აქტივები                  |          | 731,603                                | 861,532                                |
| სულ აქტივები                            |          | 820,026                                | 971,148                                |
|                                         |          |                                        |                                        |
| საკუთარი კაპიტალი                       |          |                                        |                                        |
| საწესდებო კაპიტალი                      | 12       | -                                      | -                                      |
| გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი) | 12       | 94,561                                 | 126,033                                |
| სულ კაპიტალი                            |          | 94,561                                 | 126,033                                |
|                                         |          |                                        |                                        |
| გრძელვადიანი სესხები                    |          |                                        |                                        |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები          |          | -                                      | -                                      |
|                                         |          |                                        |                                        |
| მიმდინარე ვალდებულებები                 |          |                                        |                                        |
| საგადასახადო ვალდებულებები              |          | 12,719                                 | 7,568                                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           |          | 712,746                                | 837,547                                |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები             |          | 725,465                                | 845,115                                |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი           |          | 820,026                                | 971,148                                |

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)                      | საწედბო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება/(დაუფარავი<br>ზარალი ) | სულ              |
|----------------------------------------|---------------------|------------------------------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2020</b>               | -                   | <b>48,941</b>                                  | <b>48,941</b>    |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი | -                   | 412,881                                        | <b>412,881</b>   |
| დივიდენდის გამოცხადება                 | -                   | (335,789)                                      | <b>(335,789)</b> |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>               | -                   | <b>126,033</b>                                 | <b>126,033</b>   |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი |                     | 383,265                                        | <b>383,265</b>   |
| დივიდენდის გამოცხადება                 |                     | (414,737)                                      | <b>(414,737)</b> |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>               | -                   | <b>94,561</b>                                  | <b>94,561</b>    |

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „უნიბოქს“-ი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2018 წლის 10 სექტემბერს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405289628.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გოფირებული მუყაოს ქაღალდის წარმოება

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 75, კორპუსი 10, ბინა 48

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილს ფლობდნენ:

გიორგი თითირაშვილი, 01009014741 - 25%

ნინო თითირაშვილი, 01009017318 - 25%

თორნიკე ფურცელაძე, 01019063447 - 25%

დავით ჯოხაძე, 01031003784 - 25%

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

## 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის<br>ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|-------------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                      | ევრო   |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 2.7020                                          | 2.8844 |
| 2021 წლის 31 დეკემბერი | 3.0976                                          | 3.5040 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

| ჯგუფი                       | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|-----------------------------|------------------------------|
| შენობა-ნაგებობები           | 15-30 წელი                   |
| მანქანა-დანადგარები         | 8-15 წელი                    |
| სატრანსპორტო საშუალებები    | 7-10 წელი                    |
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა | 5-8 წელი                     |
| სხვა                        | 5-8 წელი                     |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### არამატერიალური აქტივები.

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ და ნაწარმს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარდება მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა მოხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
  - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
  - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
  - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

**5. ამონაგები რეალიზაციიდან**

|                               | 2022             | 2021             |
|-------------------------------|------------------|------------------|
| ყუთები და მუყაოს სხვა ნაწარმი | 3,062,134        | 2,778,569        |
| <b>სულ</b>                    | <b>3,062,134</b> | <b>2,778,569</b> |

## შპს “უნიბოქს”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

|                                                 | 2022               | 2021               |
|-------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| ყუთებისა და მუყაოს სხვა ნაწარმის თვითღირებულება | (2,152,038)        | (1,951,555)        |
| <b>სულ</b>                                      | <b>(2,152,038)</b> | <b>(1,951,555)</b> |

#### 7. კომერციული ხარჯები

|                                 | 2022            | 2021           |
|---------------------------------|-----------------|----------------|
| ტრანსპორტირების ხარჯი           | (14,774)        | (1,053)        |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | (4,400)         | (4,400)        |
| <b>სულ</b>                      | <b>(19,174)</b> | <b>(5,453)</b> |

#### 8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                 | 2022             | 2021             |
|---------------------------------|------------------|------------------|
| ხელფასი და სხვა სარგებელი       | (244,799)        | (208,006)        |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | (26,058)         | (23,426)         |
| იჯარის ხარჯები                  | (60,320)         | (41,407)         |
| საგადასახადო ხარჯი              | -                | -                |
| სხვა დანახარჯები                | (99,260)         | (76,549)         |
| <b>სულ</b>                      | <b>(430,436)</b> | <b>(349,388)</b> |

შპს “უნიბოქს”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება        | მიწა | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | საოფისე და<br>სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | მანქანა-<br>დანადგარები | სხვა     | სულ      |
|-----------------------------|------|-----------------------------|------------------------------|-----------------------------|-------------------------|----------|----------|
| <b>31 დეკემბერი 2020</b>    | -    | -                           | 2,563                        | 22,000                      | 67,666                  | 30,420   | 122,649  |
| შემოსვლა წლის განმავლობაში  | -    | -                           | 6,187                        | -                           | 36,579                  | 288      | 43,054   |
| გასვლა                      | -    | -                           | -                            | -                           | -                       | -        | -        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | -    | -                           | 8,750                        | 22,000                      | 104,245                 | 30,708   | 165,703  |
| შემოსვლა წლის განმავლობაში  | -    | -                           | 9,265                        | -                           | -                       | -        | 9,265    |
| გასვლა                      | -    | -                           | -                            | -                           | -                       | -        | -        |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | -    | -                           | 18,015                       | 22,000                      | 104,245                 | 30,708   | 174,968  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>      |      |                             |                              |                             |                         |          | -        |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b>   | -    | -                           | (2,702)                      | (4,033)                     | (12,107)                | (9,419)  | (28,261) |
| წლის დარიცხული ცვეთა        | -    | -                           | (978)                        | (4,400)                     | (16,313)                | (6,135)  | (27,826) |
| გასვლები                    | -    | -                           | -                            | -                           | -                       | -        | -        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | -    | -                           | (3,680)                      | (8,433)                     | (28,420)                | (15,554) | (56,087) |
| წლის დარიცხული ცვეთა        | -    | -                           | (2,402)                      | (4,400)                     | (17,532)                | (6,124)  | (30,459) |
| გასვლები                    | -    | -                           | -                            | -                           | -                       | -        | -        |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | -    | -                           | (6,082)                      | (12,833)                    | (45,952)                | (21,678) | (86,545) |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> |      |                             |                              |                             |                         |          | -        |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>    | -    | -                           | 5,070                        | 13,567                      | 75,825                  | 15,154   | 109,616  |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>    | -    | -                           | 11,934                       | 9,167                       | 58,293                  | 9,030    | 88,423   |

## შპს “უნიზოქს”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 10. მარაგები

|                        | 2022           | 2021           |
|------------------------|----------------|----------------|
| ნედლეული               | 188,940        | 285,762        |
| დაუმთავრებელი წარმოება | 1,601          | 2,845          |
| მზა პროდუქცია          | 126,703        | 113,444        |
| <b>სულ</b>             | <b>317,244</b> | <b>402,051</b> |

მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად შეადგენს 2,152,038 ლარს, (2021 წელი: 1,951,555 ლარი)

#### 11. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიაში ფული და ფულის ექვივალენტები სრულად შედგება რეზიდენტ ბანკში ეროვნულ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრებისგან.

#### 12. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 0 ლარს. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში. პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს. 2022 წლის განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება ხდებოდა პერიოდულად, ჯამში გაცემულ იქნა 414,737 ლარის ოდენობის დივიდენდი (2021 წელი: 335,789 ლარი).

| მეწილეები:                       | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2021 |
|----------------------------------|----------------------|----------------------|
| გიორგი თითირაშვილი (01009014741) | 25%                  | 25%                  |
| ნინო თითირაშვილი (01009017318)   | 25%                  | 25%                  |
| თორნიკე ფურცელაძე (01019063447)  | 25%                  | 25%                  |
| დავით ჯოხაძე (01031003784)       | 25%                  | 25%                  |